ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 286

ქალაქი ქუთაისი 24 აპრილი 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სიმღერის აკადემიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 17 აპრილის №44-4424108403 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სიმღერის აკადემიისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412749717) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, აღნაგობის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, თამარ მეფის ქუჩის №97-ში მდებარე უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის თაობაზე (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.06.22.054; არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობი 1383.0 კვ.მ. შენობა–ნაგებობა №1 საერთო ფართით 840.14 კვ.მ. მათ შორის: I სართული – 804.66 კვ.მ. II სართული – 35.48 კვ.მ.), 20 (ოცი) წლის ვადით, მათ შორის 2 (ორი) წელი უსასყიდლოდ.

მუხლი 2. მოაღნაგე ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში მოახდინოს მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი და საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (15.11.2023 წელი, №008178823) შესაბამისად, დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალების უკანმიბრუ

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
127
ბას. №
24 04 2024

ღირებულება 5297,50 ლარი (ხუთიათას ორასოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ჩარიცხოს ადგილობრივ ბიუჯეტში 300183276 სახაზინო კოდზე.

მუხლი 3. მოაღნაგე, აგრეთვე, ვალდებულია, შენობის დემონტაჟის განხორციელებამდე, შენობაში თვინებურად შესახლებული პირი უზრუნველყოს არანაკლებ 25 კვადრადული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სადგომით, მისი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებამდე ვადით.

მუხლი 4. ქონების სარგებლობის (აღანგობა) წლიური ქირა განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (14.07.2023 წელი, №004761523) შესაბამისად, რომელიც შეადგენს 35000.0 (ოცდათხუთმეტიათასი) ლარს.

მუხლი 5. ქონების წლიური სარგებლობის ქირის გადახედვა უნდა განხორციელდეს 5 (ხუთი) კალენდარული წლის შემდეგ.

მუხლი 6. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სიმღერის აკადემია" (საიდენტიფიკაციო კოდის №412749717) ვალდებულია, სარგებლობაში გადაცემულ უძრავ ქონებაზე ქონების ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) წლის ვადაში უზრუნველყოს მრავალფუნქციური მუსიკალური სტუდიის შექმნა, კანონმდებლობით განსაზღვრული ფართობის მიხედვით.

მუხლი 7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სიმღერის აკადემიისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 ნოემბრის №134 განკარგულება.

მუხლი 8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 9. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 10. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 11. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე — ირაკლი შენგელია